ᲛᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 283 (18825) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1983 ᲬᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲘᲬᲣᲠᲔᲑᲐ

ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲛᲝᲛᲛᲘᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1982 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში სოფლის მეურნეობის მშრომელებთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ სამრეწველო საწარმოების, რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციების კოლექტივებიც, მათ შორის თბილისის № 4 მაცივარკომბინატის კოლექტივი. მან სამშობლოს ოპატაკა წლევანდელ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება. დავალების დამატებით გამოშვებულია დაახლოებით მილიონ-ნახევარი მანეთის მოლიანი პროდუქცია.

კომბინატის მუშაკებმა გადაწყვიტეს ახალი წლის დამლევამდე გასაღონ კიდევ 20 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას № 4 მაცივარკომბინატის დირექტორმა შ. შეყრილაძემ თქვა:

— წარმატება მიღწეულია გეგმის ვადამდე შესრულებისა და მომჩირნეობისათვის ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მეოხებით. მოწყობილობის ექსპლოატაციის წესების დაცვისა და ტემპერატურული რეჟიმების სტაბილიზაციის შედეგად საგრძნობლად შემცირდა პროდუქტების შენახვისას ბუნებრივი კლების დაწესებული ნორმები. დაზოგილია დიდძალი მატერიალური რესურსები. მაგალითად, რესპუბლიკის მოსახლეობა წლის დამლევამდე დარჩენილ პერიოდში მარტო დანაკარგების შემცირების შედეგად დამატებით მიიღებს 10 ათას კილოგრამ ხორცსა და ხორცპროდუქტებს. ფულადი გამზოგტულებით ეს 23 ათას მანეთს შეადგენს. კომბინატში ხორცეულეულება ღონისძიებანი უფრო მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად. (საქინფორმი).

ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡ რაიონში ᲨᲠᲝᲛᲘᲡ მუშაკებმა ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა-დავალება. ნაცვლად 5200 ტონისა დამზადებულია 5206 ტონა, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდება 150 ტონა ხორცი.

ᲜᲐᲪᲘᲡᲠᲘ სოციალისტური ვალდებულებების რეალიზაციისა და სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის შემართებით შრომობენ მაიაკოვსკის რაიონის მოწამოძმედები და მეცხოველეები. ფერმის მუშაკებმა 1 დეკემბერს შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა. ნაცვლად საგეგმო 755 ტონისა დამზადებულია 758 ტონა ხორცი, წლის ბოლომდე სახელმწიფოს კიდევ მიეყიდება 100 ტონა.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲒᲘᲓᲐᲓ პასუხსაგები ამოცანა აკისრია სოფლის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლას — სრულყოს სასწავლო-აღზრდელობითი პროცესი ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. მისი პედაგოგიური კოლექტივების საპატიო ვალია მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართონ მოსწავლეა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისათვის. და აქ მუშაობის მთავარი ორიენტირია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმის მითითებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებიდან „საბჭოთა კავშირის მესამოცე წელი“ და სკკპ ცენტრალურ კომიტეტში პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე მისი გამოსვლიდან გამომდინარე დებულებები და დასკვნები.

პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი გამუდმებით წარმართავენ სასწავლო განათლების ორგანოების საქმიანობას, ეხმარებიან მათ მთელ შრომალმრივ იდეოლოგიურ, პედაგოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობაში. ამის სანიმუშო მაგალითია „სოფლის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მუშაობის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილება. ამ დოკუმენტმა დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის რაიონებში სოფლის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას (როგორც საინიციატივო წესით, ასევე კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებით), საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განუხრელად განხორციელებას, მოსწავლეთა სწავლებასა და შრომით აღზრდას.

დღეისათვის საქართველოს სოფლის 2931 ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში 414 ათასი მოსწავლე სწავლობს, რაც რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 43 პროცენტს შეადგენს (ეს რიცხვი 1975 წელს შესაბამისად 53 პროცენტი იყო). დემოგრაფიული მიზეზებით, სოფლის სკოლების რეორგანიზაციისა და გამსხვილების გამო, მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ამან, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო სოფლად საყოველთაო, სავალდებულო საშუალო განათლების კანონის უკეთ განხორციელებას, მაგრამ გარკვეული ზიანიც მოიტანა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მეირეკომპლექტიანი სკოლის დახურვა, ჩვეულებრივ, იწვევს მეურნეობათა დიდმნიშვნელოვანი საწარმოო უბნების ლიკვიდაციას და მთელი სოფლების დაცარიელებას. ამას კი საგრძნობი დანაკარგები მოჰყვება და, პირიქით, ასეთი სკოლის განმტკიცებას შეუძლია ეფექტიანად შეუწყოს ხელი სოფლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილიზაციას.

ამჟამად ერთი ყველაზე დიდი საზრუნავია სკოლების რაციონალური განლაგება, მშენებლობათა ზუსტი დაგეგმვა დასახლებული პუნქტების სოციალური პერსპექტივისა და დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით.

საქართველოში სოფლის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის შემდგომი აღმავლობისათვის მრავალი ღონისძიება ხორციელდება: იგება ახალი სასკოლო შენობები, უკვე არსებულ შენობებთან, აგრეთვე სასკოლო ინტერნატებთან წარმოებს საკლასო ოთახების, სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების, სახელოსნოების, სპორტული და ფაქტო დარბაზების, ბუფეტებისა და სხვა საჭირო ნაგებობების მიშენება, იგება საცხოვრებელი სახლები მასწავლებლებისათვის.

სასიხარულო ფაქტია, რომ საქართველო უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად იმ ხუთეულში შედის, სადაც წარმატებით მიმდინარეობს სასკოლო მშენებლობა. უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ახალშენებლობათა დიდი ნაწილი სოფლის სკოლებზე მოდის.

1978-1983 წლებში სოფლად კაპიტალური დაბანდების სახსრებით აშენდა 268 სასკოლო შენობა 88,6 ათასი მოსწავლისათვის, ხოლო საინიციატივო წესით — 24 სასკოლო შენობა 6,3 ათასი მოსწავლისათვის. 1984-1985 წლებში გეგმით გათვალისწინებულია 60 სასკოლო შენობის აგება 18,4 ათასი მოსწავლისათვის, რაც 6,1 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წლებში. ამის მეოხებით მნიშვნელოვნად შემცირდება ავარიულ და შეგუებულ შენობებში მოთავსებული სკოლების რიცხვი.

გასულ სასწავლო წელს, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაუმჯობესდა სოფლის სკოლების უზრუნველყოფა სასწავლო კაბინეტებით. ეს საკითხი წარმატებით გადაიჭრა აშბროლაურის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გურჯაანის, ზუგდიდის და სხვა რაიონებში. მაგრამ ცუდად აქვთ საქმე თიანეთის, ყაზბეგისა და ლენტეხის რაიონებს, სადაც სკოლებს არ გააჩნიათ შობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის კაბინეტები, უკეთეს დღეში არც მარნეულისა და ხობის რაიონების სოფლის საშუალო და რვაწლიანი სკოლებია.

ახლა, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა შრომის აღზრდას, მათს ჩაბმას ნაყოფიერ შრომაში, რესპუბლიკაში სოფლად მხოლოდ 5 სასკოლოთაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატია.

ჯერ კიდევ იშვიათი როდია სოფლის სკოლა, სადაც შრომის გაკვეთილებზე მოძველებულ, ხმარებიდან გამოსულ ტექნიკას იყენებენ. ძალზე ბევრი საბაზო კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მარტოოდენ ეპიზოდური დახმარებითა და მოწყობილობათა შესაძენად განსაზღვრული სახსრების გამოყოფით კმაყოფილდება.

ამჟამად რესპუბლიკის 148 სასკოლო ინტერნატში ჩაბმულია 4103 მოსწავლე, არსებული ბაზა კვლავ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს.

ხარვეზებია სკოლებთან სამი და მეტი კილომეტრი დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა სასკოლო ინტერნატში ჩაბმისა და მათი ტრანსპორტით უზრუნველყოფის საქმეში. ძალზე ცოტა სასკოლო ინტერნატს აქვს ტიპობრივი შენობა, მათი დიდი ნაწილი ნაქირავებ ბინებშია მოთავსებული. არის შემთხვევები, როცა სკოლა-ინტერნატის შენობებს სხვა დანიშნულებისათვის იყენებენ, უსამართლოდ ჭიანურდება ახალი ნაგებობების მშენებლობა. მაგალითად, მესტიის რაიონის სოფელ ლახამურაში 1982 წლის 1 სექტემბრისათვის უნდა აშენებულიყო სასკოლო ინტერნატი, მაგრამ მისი მშენებლობა დღესაც არ დაუწყია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის № 2 ტრესტს.

უკანასკნელ ხანს ფართოდ გაიშალა საინიციატივო მშენებლობანი აშბროლაურის, ჟოხოლეთის, ზუგდიდის, მახარაძის, გუდაუთის, ცაგერის, ცხინვალის, საგარეჯოს, ფორისა და სხვა რაიონებში. მაგალითად რაჭის სამო ჭიმიურმა ქარხანამ ააშენა ბაგა-ბაღისა და საშუალო სკოლის შენობები და საცურაო აუზი ურავში, ბობოყვაათის კოლმეურნეობამ სკოლის 4-სართულიანი ტიპობრივი შენობა, თანამედროვე ტექნიკითა და ავეჯით მოწყობილი კაბინეტებით, საკლასო ოთახებითა და ლაბორატორიებით და სხვა. სულ სხვა სურათია ბოგდანოვკის, ახმეტისა და მარნეულის რაიონებში, სადაც თითქმის ჩაჩკედარია საინიციატივო მშენებლობანი.

ახლა ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა მაღალმთიანი ზონის სოფლების სკოლების მუშაობის გაუმჯობესებას. გაიხსნა სკოლები აღორძინებულ სოფლებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით რომ ხელმძღვანელობდა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება „რესპუბლიკის მაღალმთიანი და აღორძინებული სოფლის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისადმი საშუფო დახმარების გაძლიერების შესახებ“, რის საფუძველზეც თბილისის მთელი რიგი სკოლები საშეფო დახმარებას უწევენ სოფლის სკოლებს. ასეთმა ქმედითმა ღონისძიებამ თავისი დადებითი შედეგი მოგვცა.

ბოლო წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა სოფლის სკოლების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების საქმე. შარშან სოფლის დღის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში მუშაობდა 47611 მასწავლებელი, ამათგან 85 პროცენტს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება ჰქონდა.

ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის სოფლის სკოლებში 983 ახალგაზრდა მასწავლებელი განაწილდა. წლეულს კარგად მოგვარდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების საქმე. ამის მიუხედავად, სოფლის სკოლებში სპეციალისტთა ნაკლებობაა. ამ დროს კი რესპუბლიკის მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ნაწილი განაწილების მიხედვით სამუშაოდ არ მიდის. მაგალითად, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან განაწილებული 291 ახალგაზრდიდან ადგილზე არ გამოცხადდა 70. იგივე ითქმის სამხრეთ ოსეთის, გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სხვათა შესახებ.

სოფლად, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში დიდია მასწავლებელთა დენადობა, რაც უარყოფითად მოქმედებს სტაბილური პედკოლექტივის შექმნაზე, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სწავლა-აღზრდის მაღალი დონე.

ამისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სოფლის მასწავლებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობა. თუმცა ამ საქმეში არის ერთგვარი წინსვლა. შარშან სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა სახსრებით გათვალისწინებული 965 კვადრატული მეტრი ფართობის ნაცვლად აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 1045 კვადრატული მეტრი ფართობის ორი და ოთხოთახიანი 10 მასწავლებელთა სახლი.

და მაინც სოფლის სკოლების მასწავლებელთა მუშაობისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შექმნის საქმეში კვლავ გვხვდება სერიოზული ნაკლოვანებანი.

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ასპინძის, წალკის, ახმეტის, გალის, ვანის, ონის, ორჯონიკიძის, და სხვა სოფლის სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა კვლავ ვერ მარაგდება სათბობით, ხოლო სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ კომუნალური მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. ყაზბეგის, ლაგოდეხის, მესტიის, მცხეთისა და სხვა რაიონების ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი მხოლოდ გადარიცხავს სათბობის ფულს, მის მოზიდვას კი თვით მასწავლებლებს აკისრებს.

სოფლის სკოლა არა მარტო უშუალოდ სასწავლებელია, კი უმეტეს შემთხვევაში არის სკოლასთან არსებული ინტერნატიც, სახელოსნოებიც, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გარაჟიც და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მასწავლებელთა ბინებიც. და მაშასადამე, დეპუტატებმა, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს სასკოლო მშენებლობებისადმი, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ მის კომპლექსურობას.

სოფლის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს მოსწავლეთა შრომითი მოშზადების ყველა შემადგენელი რგოლის ეფექტიანობა. საჭიროა შრომითი სწავლებისა და აღზრდის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცება, ყველა სკოლაში კარგად აღჭურვილი სახელოსნოების, შრომითი სწავლების კაბინეტების, სახნავი-სათესი და სასკოლო ნაკვეთების მოწყობა, სასოფლოთაშორისო სასწავლო საწარმოო კომბინატების, სასწავლო საამქროებისა და საწარმოო უბნების ქსელის განვითარება. ამისათვის ერთობლივი ბრძოლა მართები როგორც განათლების დარგის მუშაკებს, ისე ადგილობრივ პარტიულ და საბჭოურ ხელმძღვანელობას, სკოლის შეფებს.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე მოისმინა მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრის ს. ა. აფანასიევისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრის ა. ი. მაიორაცის ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ეკონომიკური ექსპერიმენტი დაგეგმვასა და სამეურნეო საქმიანობაში ამ სამინისტროების საწარმოთა უფლებების გაფართოებისა და მუშაობის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ახლა ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობაა გაწეული. დამტკიცებულია საჭირო მეთოდიკური და ნორმატიული დოკუმენტები. მთავრდება ახალ პირობებში მუშაობისათვის წარმოების მომზადება.

ამასთან სხდომაზე აღინიშნა, რომ მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ, აგრეთვე ცენტრალურმა ეკონომიკურმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ განაზორციელეს ექსპერიმენტის წარმატებით მოწყობისათვის გათვალისწინებულ იმ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომლებიც ხელს შეუწყობს საწარმოებს უკვე უახლოეს ხანში მიაღწიონ უფრო მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

ბევრი საწარმო იწყებს ექსპერიმენტს ისე, რომ ჯეროვნად არა აქვს შემუშავებული წარმოების ეფექტიანობის, გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლების, ყველა სახეობის რესურსების დაზოგვის სახეობები. სამინისტროების კოლეგიები ნაკლებად უწევენ კონკრეტულ დახმარებას გაერთიანებებსა და საწარმოებს. შესამჩნევად არ ფარდაკნილა სამინისტროებისა და განსაკუთრებით საკავშირო სამრეწველო გაერთიანებების მუშაობის სტილი. შრომითი კოლექტივების შესაძლებლობებს, მიაღწიონ უფრო მაღალ მაჩვენებლებს ახალი ეკონომიკური მეთოდებისა და სტიმულების დახმარებით, ხელს უშლის აგრეთვე ტექნიკური და ეკონომიკური სამსახურების იმ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლის მიზანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შიდასაქარხნო დაგეგმვის სრულყოფა, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების დანერგვა. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ჯერ კიდევ საკმარისად არ ეწევა ექსპერიმენტის უზრუნველყოფისათვის გამიზნულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას, ვერ აღწევს, რომ ყოველ მუშასა და სპეციალისტს ღრმად ესმოდეს მაღალნაყოფიერი და ხარისხიანი შრომის სტიმულირების ახალი პირობები და პრინციპები. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სუსტად ებმენ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. სრულად არ გამოიყენება კადრების ეკონომიკური და პოლიტიკური სწავლების სხვადასხვა ფორმის შესაძლებლობანი.

პოლიტბიუროს სამინისტროების ხელმძღვანელ კომუნისტთა უყოყმანოდ მიაპყრო მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში ექსპერიმენტის მომზადების საქმეში დაშვებულ სერიოზულ ხარვეზებს, დაავალა მათ მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ჩამოყალიბებული პრინციპებისა და დებულებების სრულ და უთუო რეალიზაციას. წამოყენებულია წინადადება განხორციელდეს ექსპერიმენტის მონაწილე საწარმოებში წარმოების დაგეგმვის სრულყოფის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მათი უზრუნველყოფის, შრომითი კოლექტივების ინიციატივისა და დაინტერესების განვითარების საჭირო ღონისძიებანი.

უკრაინის სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, ბელორუსიის სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და ლიტვის სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელებს, რომელთა საწარმოებშიც ასევე იწყება ექსპერიმენტი დაევალათ მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროების გამოცდილების გათვალისწინებით განიხილონ თავიანთი საწარმოების მზადყოფნა ეკონომიკური ექსპერიმენტისათვის და განახორციელონ მისი წარმატებით შესრულების უზრუნველყოფის ყველა საჭირო ღონისძიება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების, ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხრეთი და საოლქო კომიტეტების წინაშე დასახულია ამოცანა გაზარდონ მომთხოვნელობა ექსპერიმენტის მონაწილე საწარმოების სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი, პარტკომებისა და პარტბიუროებისადმი იმ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია წარმოების ინტენსიფიკაცია, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის გაძლიერება, მიაღწიონ, რომ მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობა მიზნად ისახავდეს უწინარეს ყოვლისა მაღალი საბოლოო სასაღლო-სამეურნეო შედეგების მიღწევას.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტის, სამრეწველო წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და სისტემატიზაციის წინადადებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა და მზარი დაუჭირა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დასახულ იმ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 37 სხდომის გადაწყვეტილებათა საფუძველზე საბჭოთა კავშირის ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა.

მოისმინეს ნ. ი. რიჟკოვის ინფორმაცია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ, რომლის დროსაც განიხილეს დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური საკითხები და ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რომლებიც ითვალისწინებენ სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

მოიწონეს 1986-1990 წლებისათვის ფინეთთან საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების წინადადებანი.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს და მიიღეს გადაწყვეტილებანი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ზოგიერთ სხვა საკითხზე.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲡ მეტროპოლიტენის მშენებლობაზე „თბილისგვირაბშენის“ გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, კომუნისტი ლონგო მიხაშვილი. კოლექტივი, რომელსაც იგი უდგას სათავეში, მეტროპოლიტენის ეკლდანის ხაზის გაყვანაზე მუშაობს და ყოველდღიურ დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს.

მიმდინარე სამეურნეო წლის დამთავრებამდე ორიოდე კვირა დარჩა. ბრიგადის წევრებმა განიხილეს მომავალი წლის გეგმა და გაიანგარიშეს დავალებები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ლონგო მიხაშვილი.

Ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲥᲕᲔᲑᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ განიხილა საკვებწარმოებაში გაშლილი შრომითი მეტოქეობის შედეგები. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 31 ოქტომბრისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში „ერთ პირობითს სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე დამზადებული იყო 11,55 ცენტნერი საკვები ერთეული — 0,15 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1982 წლის ამავე თარიღისათვის.

მაგრამ რესპუბლიკის 28 რაიონში შემცირდა საკვებდამზადება. მაგალითად, გარდაბნის რაიონმა ერთ პირობითს სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე დაამზადა 3,75 ცენტნერით ნაკლები საკვები ერთეული, ვიდრე შარშან, ბოლნისისამ — 4,33, ხოლო მცხეთისამ — 5,60 ცენტნერით ნაკლები.

საკვების დამზადებას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეურნეობებში. აქ ერთ პირობითს სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე მოდის დაგეგმილზე 1,07 ცენტნერი საკვები ერთეულით ნაკლები.

რესპუბლიკის 16 რაიონმა 75 პროცენტითაც კი ვერ შეასრულა საკვების დამზადების გეგმა. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონმა წლიური გეგმა შეასრულა 61,1 პროცენტით, ჩოხატაურისამ — 63,5 პროცენტით, ქალაქ ტყიბულის ზონამ — 60,4 პროცენტით.

საკვების დამზადებაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1983 წლის ოქტომბრის შედეგების მიხედვით კომისიამ საპრიზო ადგილები მიანიჭა რაიონებს, რომლებმაც თავიანთ ზონებში ყველაზე მეტი საკვები დაამზადეს:

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲖᲝᲜᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲬᲝᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

მარნეულის რაიონს საპრიზო ადგილი არ მიენიჭა, რადგან 1982 წელთან შედარებით მან შეამცირა საკვების დამზადება.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲖᲝᲜᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲭᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲖᲝᲜᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲛᲔᲡᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲮᲣᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲛᲔᲔᲥᲕᲗᲔ ᲖᲝᲜᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲛᲔᲔᲪᲮᲠᲛᲔ ᲖᲝᲜᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. თუმცა აქ 1982 წელთან შედარებით შემცირდა საკვების დამზადება, მაგრამ გადაჭარბებით შესრულდა ბალახის ფხვნილის დამზადების გეგმა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲪᲮᲘᲠᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲖᲝᲜᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲐᲒᲠᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲡ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲖᲝᲜᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲯᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲐᲮᲐᲠᲜᲘ

პარტიული ცხოვრება: მიმდინარობს კონფერენციები

თუ სტილი უფრო დაიხვეწება

კონფერენციებ დაიწყო... უსმენ პარტიის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, შემდეგ დელეგატთა გამოსვლებს, და აი, გონების თვალით ხედავ გაგრის, მისი ზონის პარტიული ორგანიზაციების მიერ ამ ბოლო სამი წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას. აქაური კომუნისტთა საბრძოლო დეკანი იყო 1980 წლის აგვისტოში გამართულ საქალაქო პარტიული კომიტეტის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვები:

„გაგრა — ეს აფხაზეთის სახეა, მთელი რესპუბლიკის მარგალიტია. ჩვენ აქ მხოლოდ სანიმუშო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, საჩვენებელი სამშენებლო ორგანიზაციები, საკურორტო დაწესებულებები, სანიმუშო სოციალისტური მართლწესრიგი უნდა გვქონდეს!“

მაინც, რა გაკეთდა და რა კეთდება ამჟამად ამ საპატიო ამოცანის განსახორციელებლად? რა ორგანიზაციული და პოლიტიკურ-იდეოლოგიური ღონისძიებები განხორციელდა საანგარიშო პერიოდში?

სულ მალე, პარტიკომიტეტის კრების შემდეგ, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიიღო დადგენილება ქალაქ გაგრის სანიმუშო სოციალისტურ ქალაქ-კურორტად გადაქცევისათვის მოძრაობის შესახებ. ამ დადგენილების შესაბამისად, ოართოდ გაჩაღდა ბრძოლა სანიმუშო სოციალისტური კოლექტივების წოდების მოსაპოვებლად. ხუთ კოლექტივს უკვე მიენიჭა ასეთი წოდება.

პრაქტიკული შედეგების მიხედვით. წლეულს გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე განახლდა პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების შემადგენლობა, გაიზარდა მათს რიგებში მუშებისა და კოლმეურნეების რიცხვი. პარტიული ორგანიზაციების მდივნებად, პარტკომორგანიზატორებად არჩეული არიან უფრო ავტორიტეტიანი კომუნისტები. ამჟამად მატერიალური წარმოების სფეროში იღვწის აქაური კომუნისტთა 45 პროცენტი. ქალაქის ზონის ყველა მნიშვნელოვან უბანზე შექმნილია პარტიული ორგანიზაცია, მათ შორის 164 — პირველადი, 70 — საამქრო, 64 — პარტიული ჯგუფი.

დელეგატების გამოსვლებიდან ნათელი გახდა, რომ საქალაქო კომიტეტი საანგარიშო პერიოდში განუხრელად სრულყოფდა პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის მეთოდებს, რაშიც მათ საქმიანად ეხმარებოდნენ ზემდგომი პარტიული ორგანოები. პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მუშაობის ანგარიში მოისმინეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. აღინიშნა რა საქალაქო კომიტეტის მუშაობაში არსებული დადებითი მხარეები, ამასთან ერთად მიუთითეს ნაკლოვანებებზე, მისაცემ კონკრეტული რჩევა-დარიგება. ეს რეკომენდაციები და მითითებები საქალაქო კომიტეტს დაეხმარა უფრო ღრმად გაეანალიზებინა თავისი საქმიანობის ყველა მხარე, უფრო ოპერატიულად მიეღო ცალკეული დადგენილებები. ამჟამად უფრო ღრმად აანალიზებენ ხელმძღვანელ მუშაკთა წვლილს საერთო საქმეში. უმიერველესად მნიშვნელობას ანიჭებენ მათს კომპეტენტურობას, პასუხისმგებლობას დაკისრებული ამოცანებისათვის და სხვ.

კონფერენციაზე მკაცრად გააკრიტიკეს ჩამორჩენილ საწარმოთა და მეურნეობათა ხელმძღვანელები, პირველადი პარტორგანიზაციები. დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების სერიოზული ძიების ნაცვლად ზოგან გეგმების კორეტირების ბანალური პრაქტიკას მიმართავენ. სამრეწველო საწარმოებში გეგმების კორექტირების შედეგად არ აწარმოეს 762 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, არ შესრულდა 1.180 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაციის დავალება. ამ საკითხების მიმართ პარტიის საქალაქო კომიტეტის პოზიცია უფრო პრინციპული უნდა იყოს.

კონფერენციაზე საყვედური გამოითქვა შრომის ნაყოფიერების ზრდის ნელი ტემპისა და ფონდუკუგების დაქვეითების გამო. მაგალითად, 1982 წელს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებისათვის დარიცხულ იქნა 6 მილიონ 901 ათასი მანეთი. ეს კი საერთო შემოსავლის 79 პროცენტს შეადგენს. ამავე დროს შრომის ნაყოფიერების ზრდამ მხოლოდ 72,8 პროცენტს მიაღწია. ამრიგად, შრომის ანაზღაურება უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას 6,2 პროცენტით. ანალოგიური მდგომარეობაა ამ მხრივ მშენებლობებზე, სადაც საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი 2,2 პროცენტით აღემატება საშუალო გამომუშავების ტემპს.

ეკონომიკური ანალიზის უგულებელყოფამ განაპირობა ის გარემოებაც, რომ მეტად შემოსავლიანი კულტურის — თამბაქოს ნედლეულის დამზადებიდან მიღებულმა მოგებამ მხოლოდ 321 ათასი მანეთი შეადგინა, გეგმით გათვალისწინებული 918 ათასი მანეთის ნაცვლად.

მეურნეობათა ეკონომიკის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, — აღნიშნა კონფერენციაზე, — საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის უკეთ წარმართვისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ორგანიზაციულ ღონისძიებებს — კოლექტიური იჯარის დანერგვას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე თუმცა წაიმუშავეს შრომის ორგანიზაციის ამ ახალი ფორმის დასანერგავად, მაგრამ ეს ამ დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

მაგალითად, გაგრის შემოსაველი გზის მშენებლობაზე სხვებთან ერთად სამუშაოებს აწარმოებს „საქმიდროვნერგომშენის“ ტრესტის მოძრავ-მექანიზებული კოლონა. აქ სამი ბრიგადა იჯარული მეთოდით მუშაობს. — ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, — განაცხადა თავის სიტყვაში ამ ობიექტის იჯარული მეთოდით მომუშავე ბრიგადის ხელმძღვანელმა, დელეგატმა მ. ჩაჩიბაიამ, — დიდ ყურადღებას აქცევს მშენებელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას, სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. შედეგებიც დადებითია. მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივი მრავალეროვანია, აქ ერთმანეთის მხარდამხარ ეშრომობთ ქართველები, აფხაზები, სომხები, რუსები, უკრაინელები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, ერთგვარ წარმატებებთან ერთად ჩვენთან ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აღმოიფხვრა გაცდენების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. მუშობაში ხშირად ხელს გვიშლის სამშენებლო მექანიზმების უხარისხო რემონტი, აგრეთვე შეფერხებები ბეტონის მოწოდებაში. რასაკვირველია, დისციპლინის დარღვევის არც ერთ ფაქტს არ ვტოვებთ უყურადღებოდ, რეგირების გარეშე. მუშობის ახალმა მეთოდმა საგრძნობი შედეგები მოგვცა.

დელეგატებმა ისიც აღნიშნეს, რომ ქალაქის საწარმოებსა და მშენებლობებზე ბევრი ასეთი ბრიგადა ჯერჯერობით ფორმალურად არის შექმნილი. ყველგან ზუსტად როდია განსაზღვრული ოსტატისა თუ ბრიგადირის ფუნქციები, საინჟინრო და ეკონომიკური სამსახურის ამოცანები შრომის ორგანიზაციაში და სხვ. მოეწესრიგებელია სამეურნეო ანგარიშის დანერგვისას ბრიგადირის სწავლება, ამ საქმეში მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. საჭირო იქნება ამ მნიშვნელოვანი სიახლის უკეთ დანერგვაში პარტიის საქალაქო კომიტეტმა სათანადო ორგანიზატორული როლი შეასრულოს.

სოფლის მეურნეობაში არსებული ზოგიერთი მიღწევის მიუხედავად, სერიოზული ჩამორჩენაა სახელმწიფოსთვის ყურძნის მიყიდვის საქმეში. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კვლავ არის ჩამორჩენილი დარგები. ორი წლისა და 10 თვის შედეგების მიხედვით სახელმწიფოსთვის რძის მიყიდვის დაგალებები ვერ შეასრულეს სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობამ, მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსმა და სხვა მეურნეობებმა. ბოსტნეულის დამზადების გეგმები ჩაშალეს ილიჩის სახელობის კოლმეურნეობამ და კოლმეურნეობა „დრუჟბამ“. ზოგიერთმა მეურნეობამ ვერ შეასრულა ხილის დამზადების გეგმები, ხოლო ზონის ვერც ერთმა მეურნეობამ თავი ვერ გაართვა სოიის და სიმინდის დამზადების დავალებებს. საგანგაშო მდგომარეობაა გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკაში, სადაც წლითიწლობით მცირდება კვერცხის წარმოება.

ზოგიერთ დადებით ტენდენციასთან ერთად აღინიშნა, რომ საგაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო მუშაობას ვერ ეწევიან ამ დარგის უკეთ გაძღოლისათვის. ზოგიერთი საგაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი ვერ ასრულებს საგეგმო დავალებებს. მომსახურების სფეროში კვლავ სუსტია ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა.

როგორც დელეგატებმა თქვეს, განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკების მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტები. მუშობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ამ განყოფილების მუშაკები მ. არუთინინი, გ. მარდალეთელი და გ. ფიფია სამუშაოდან დაითხოვეს, პარტიული სასჯელი დაედოთ ზ. გოგიჩაკაძ და ნ. ბარაზია.

კონფერენციაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, მის სრულყოფას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად. ადამიანების აღზრდაში ამჟამად აქტიურად მონაწილეობენ ქალაქის საამეურნეო ხელმძღვანელები და სპეციალისტები. შრომითს კოლექტივებში სულ უფრო ხშირად ‘ხდიან და მათს წინაშე გამოდიან პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები და სხვა პასუხისგებელი მუშაკები. ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი ძალა მოახმარა პარტიული და ეკონომიკური სწავლების დონის ამაღლებას, პროპაგანდისტების მომზადებას, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობის გაუმჯობესებას. ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ნაკლოვანებები ჯერ კიდევ ცოტა როდია. ჯერჯერობით დაძლეული არ არის აღზრდის სფეროში ფორმალიზმი.

პარტიული კომიტეტის სტილი — ეს ცნება რთული და ტევადია, იარო წინ, თან გაიყოლიო მასები სამეურნეო, ორგანიზაციული, იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადასაწყვეტად — ასეთია კომუნისტების განაწესი პარტიის ახალარჩეული საქალაქო კომიტეტისადმი.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბუთბამ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. გაბაშვილი.

ი. გოგბერია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქონელი ყველასათვის — ყველას საქმეა

როგორია პირველი საპირველის საქონელზე სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების, ამ პროდუქციით ბაზრის მომარაგებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების უახლოესი პერსპექტივები? ამის შესახებ კომპეტენტური სჯა-ბაასი გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე იმ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, რომელმაც უნდა უზრუნველყონ ჯეროვანი ზრუნვა მინდვრის პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდისათვის, მისი ტრანსპორტირება, შენახვა, მოსახლეობისათვის მიწოდება, გააუმჯობესონ ამ პროდუქციით ვაჭრობის ორგანიზაცია. სხდომაზე განიხილეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის, 1983 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის, აგრეთვე 1982 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მაჩვენებლები.

პროექტების საფუძვლიანი განხილვის შედეგებს, დეპუტატთა წინადადებებს განაზოგადებენ, ხოლო დასკვნებს წარუდგენენ საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას. მაგრამ უკვე ახლა შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის ორგანიზაციის ოლქებსა და ზამთრის ერთ საღამოს მის შეყვარებასაც მოასწრებთ, რას მერჩინ, საყვედურს ნუ მეტყვით, არჩევანს ნუ დამიწუნებთ და ნურც იმ რამდენიმე წუთს დამამადლით, ამ სტრიქონების წაკითხვას რომ მოანდომებთ.

წეღან არ მითქვამს და ახლა გეტყვით: სახლი ჭიშკრიდან მოშორებით არის და თუ თავად ოჯახის უფროსი — სოსო ბერიძე გამოგებებათ, უთუოდ შეამჩნევთ, რაღაცნაირი მძლავრი, ღონიერი ნაბიჯებით მოდის, თითქოს მუხლამდე ტალახში მოიკვლევსო გზას. ცოტა კი შეფიქრიანდებით, მაგრამ ვერაფერს მიხვდებით, მხოლოდ გვიან გაიგებთ: თურმე უფროსი კაცი ყოფილა ეს ჩვენი მასპინძელი, ორივე ფეხი მუხლებს ქვემოთ აქვს გადაჭრილი. ომში დატოვა, მოსკოვის ახლოს, 1941 წლის ზამთარში, როცა 21 წლის ჯაბუკი იყო.

თქვენ ვერაფერს შეატყობთ და არც თავად სურს შეეტყოს, არ ამხელს, ხოლო თუ სხვები გეტყვიან და გიამბობენ მისი თანდასწრებით მის თავსგადამხდარს, ამაზეც წყრება.

არ იმჩნევს, არც ეტყობა, პირველად კი, ომიდან რომ დაბრუნდა, ძალიან ეტყობოდა. ეტყობოდა კი არა, ყავარჯნებითაც ძლივს დადიოდა, უცებ ვერ შეეჩვია პროთეზს.

— მაინც ხომ არ დამიწუნა ჩემმა დედაკაცმა, — იტყვის ხუმრობით და ისეთი მადლიერებითა და სიყვარულით გახედავს მეუღლეს ამ სიბერეში, თვალზე ცრემლი მოგადგება.

ომგადახდილს ომისა რომ არ ჰკითხო, ისე როგორ იქნება! მაგრამ ამჯერად ამაოდ გაირჯებით, ვერაფერს დაანცდინებთ, ომის გახსენებაც არა სურს.

— რა გინდათ, კაცო, რას გადამეკიდეთ, — შემოგწყრებათ ის, თუ ძალიან ჩაგიდებთ — რამდენი კაცი გყავს მოკლულიო, დაჭრილი როგორ გამოგიყვანესო ბრძოლის ველიდან, ეს ორდენები და მედლები რისთვის მოგცეს, რა გმირობა ჩაგიდენიაო — თავი დამანებეთ, კაცო, არავინაც არ მომიკლავს, არაფერი გმირობა არ ჩამიდენია, არაფერი არ მახსოვს... ომის სახსენებელიც დასწყევლოს ღმერთმა და მისი მომრნიც, რა დროს მაგის გახსენებაა ორმოცი წლის შემდეგ.

მაგრამ ჟურნალისტი რის ჟურნალისტია, თუ გაზით ვერ ამოაძრობს კაცს სიტყვას პირიდან.

— ომდან ყველაზე მეტად მაინც რა დაგახსომდათ? — ფიქრიანად გაიმეორა მან ჩემი შეკითხვა და რაღაცნაირი თბილი, რბილი შუქით გაუნათდა სახე, — გაგიკვირდებათ, რასაც ახლა გეტყვით. ჰოსპიტალი დამახსომდა ყველაზე მეტად. ოპერაცია რომ გამიკეთეს და ორივე ფეხი მომკვეთეს, ერთხანს გონს ვერ მოვედი, ვერ მივხვდი, რა მჭირდა. ფეხის თითები მტკიოდა, სწორედ ის მოკვეთილი და გადაყრილი ტერფები მტკიოდა და ვერ მივხვდი. ჭრილობები რომ მომიშუშდა და ლოგინზე წამოჯდომა დავაპირე, მხოლოდ მაშინ გავიგე, რა უბედურებაც დამმართოდა. არ მეგონა და შევწუხდი ნამტანი. სიკვდილი ვინატრე იმ წუთს, სიკვდილი მერჩივნა უფეხობას. ერთი ჩემი კბილა გოგო მივლიდა, მედიცინის დას რომ ეტყვიან, ნატაშა ერქვა სახელად, შემატყო იმან, მართლა დასვიათ მომექცა... მერე იქიდან რომ გამომწერეს და სხვა ჰოსპიტალში გამგზავნეს პროთეზის გასაკეთებლად, კვლავ იმ გოგომ გამომაცილა... მისი ცრემლიანი თვალები და მისი უკანასკნელი შემოხედვა დამახსომდა ყველაზე მეტად ომის დროიდან.

ამას რომ მიამბობდა, დროგამოშვებით, იქვე ბუხართან დაბალ სკამზე მჯდომ მეუღლეს გადახედავდა და თუმცა ეტყობოდა, ქალს ეს ამბავი ქმრისაგან სხვა დროსაც ჰქონდა მოსმენილი, მაინც წითლდებოდა, და ეს ქალაქშვილური დამორცხვება საოცრად შვენოდა მის ჭაღარას და მის მწუხარებას (მისი ამ საწუხარის გამო ქვემოთ გეტყვით).

ეჰ, რა სწრაფად გარბის დრო, ორმოც წელზე მეტი გასულა მას შემდეგ, ორმოც წელიწადზე მეტია სოსო ბერიძე უფეხოდ თელავს ამ დედამიწას და ვინც მას იცნობს, ასე ჰგონიათ, ამ პროთეზების, ამ რკინის ფეხების გარდა, სხვა ფეხი არც არასოდეს ჰქონოდეს და არც სჭირდებოდეს. მხოლოდ თავად მან, ერთადერთმა იცის, რა ძნელია ეს, რა ძნელია უფეხობა და კიდევ უფრო ძნელი ის არის, რომ ვერავინ შეგიტყოს, რომ გიჭირს, გიძნელდება, რომ რკინა კი არა, ხისა კი არა, ნამდვილი ფეხი გჭირდება, საკუთარი. საკმარისად მიიჩნიეს და აღნიშნეს, რომ იგი ჯერჯერობით არ შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს. კერძოდ, დეპუტატებმა კრიტიკულად შეაფასეს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა, აღნიშნეს, რომ სუსტია კომერციული საქმიანობა, არ ხორციელდება საქონლბრუნვის გეგმების შესრულების ქმედითი ღონისძიებანი. განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხილბოსტნეულის შენახვისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციასთან, ქსელში სავალდებულო ასორტიმენტის საქონლის მიწოდების გაუმართლებელ გაჯიანურებასთან, მომსახურების დაბალ კულტურასთან, დანაკარგების, ვაჭრობის წესების დარღვევების წინააღმდეგ არასაკმარის ბრძოლასთან, საქმისადმი ცალკეული ობიექტების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასთან. აღინიშნა, რომ სამინისტროს სისტემაში სათანადო დონეზე არ წარმოებს მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის.

კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ამ და სხვა ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრა. საქართველოს სსრ ხალხთა კონტროლის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხალხთა კონტროლის კომიტეტს, ეკონომიკური რეფორმების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ფინანსებისა და ორგანიზაციების, რესპუბლიკის აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების როლის გაზრდა სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. შესაბამისი რეკომენდაციები მიეცათ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებსაც. კერძოდ, აღნიშნულია, რომ მათ მუდმივი კონტროლი უნდა გაუწიონ თავიანთ ტერიტორიაზე მდებარე ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს მეურნეობათა მიერ სავაჭრო ქსელში ხარისხოვანი პროდუქციის მიწოდების მდგომარეობასა და ამ პროდუქციით ვაჭრობას. მათ ფართოდ უნდა გამოიყენონ ამ მხრივ თავიანთი საკოორდინაციო უფლებამოსილებაც.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სიხარაძე. (საქინფორმი).

მეცხვლური

ყოფილხართ ხიდისთავში?.. უკეთესს რას ნახავს კაცის თვალი! ჩოხატაურის რაიონში კი არა, იქნებ მთელ საქართველოშიც ბევრი არ მოიძებნოს მისი ბადალი სოფელი, ასე შემკული რომ იყოს სილამაზით, ჰავით, ადგილმდებარობით, დოვლათითა და ყოველითა სიკეთითა.

ახლა, ამ შუა ზამთარში, რაღა თქმა უნდა, მზე და სიმწვანე, ნაირნაირი, ნათელი და ხალისიანი ფერები აკლია თვალს. ახლა მარტოოდენ გარშემორტყმული თოვლიანი მთები, მდინარე გუბაზოოულის ჯანღიან-ბურუსიანი ნაპირები, ხეებზე შემოწნულ-შემოგრეხილად გადმოკიდებული ჩალის ზვინები და სახლებიდან ამომავალი კვამლის სვეტები ალამაზებს სოფლის პეიზაჟს.

ეს რაღაც სხვანაირი, ფიქრის აღმძვრელი სილამაზეა, რაც უცხოს იქნებ მოსაწყენად, ნაღვლიანადაც კი მოეჩვენოს, ხოლო ვისაც ერთი ღამე მაინც გაუთევია აქ სადმე იმ ჭერქვეშ, საიდანაც კვამლი ამოდის, მან კარგად იცის ამ სილამაზის ფასი, მან იცის იმ ცეცხლის ფასი და სილამაზე, ოჯახის კერაზე რომ ღვივის და ანთია.

მეცა მყავს ხიდისთავში ერთი ნაცნობი და მასპინძელი. მინდა დღეს მის ოჯახს, მის კერას და ბუხარს გაწვიოთ და თუ სიტყვის ღონე და ჯავარი მეყო, მისი ცეცხლის სითბოს და ღუღუნს გაზიაროთ.

სოსო ბერიძე გახლავთ ის ჩვენი მასპინძელი. ალბათ გამინაწყენდება, უბრალო ნაცნობად რომ მოვიხსენიე, მეგობრობა ვერ შევბედე, თანშეზრდილნი არა ვართ და არც ჩვიდი ფუთი მარილი შეგვიჭამია ერთად, პირველად ამ ორიოდე კვირის წინათ შეგვყარა ბედმა, ამიტომ ვერ შევუთამამადი, ფამილარობად არ ჩამომართვას-მეთქი. თუმცა, არა, მაინც ძმობა და მეგობრობა უნდა შევფიცო, რადგან, აკი თავადვე მითხრა, ერთი სულისკვეთებისა ადამოვჩნდით, ერთი ჯიგრისა და ჯილგისაო.

ბერიძეები ძველისძველი გვარია გურიაში, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ციხეც ყოფილა ბერიძისა ბახვისწყლის შესართავს ზემოთ. აქ კი, ხიდისთავში, ბერიძეები ცოტანი არიან. ამ ცოტა მეხსიერებაში არა, მაგრამ, ჩანს, არცთუ დიდი ხანია, რაც ამ სოფელში პირველად დაიდო ფუძე ამ გვარის წინაპარმა.

სოსო ბერიძე სოფლის ბოლოს სახლობს გუბაზოოულის ნაპირას. ძველებურ ოდას აღმოსავლეთისაკენ აქვს პირი ისე, რომ სახლის პატრონი აივანზე რომ გამოვა დილაადრიან, პირველად განთიადს მიესალმება. ოდა-სახლის უკან სამზადი დგას. მისი კარი მუდამ ღიაა ზამთარ-ზაფხულ და ჭიშკარს გაჰყურებს, თითქოს სტუმრის მოლოდინშიაო.

ჭიშკარს რომ მიადგებით, ძაღლი გამოგივარდებათ ყეფითა და დიდი ამბით, ხოლო როგორც კი პატრონი შეეხმიანება და დატუქსავს, მაშინვე გაკმინდავს ხმას. სტუმარს მასპინძელს შეატყობს, დარცხვენილი გაბრუნდება და ახლა ეზოში დაყუჩებულ ქათმებს გამოეწინება, ვითომ რაო და ეს რა შეცდომა მომივიდა, მოყვარე მტრისაგან ვერ გავარჩიეო.

ჩვენ კი მასპინძელს შევყვეთ შინ. დავსხდეთ ცეცხლისპირს ბუხართან, ხილი ვიხილოთ, პური გავტეხოთ, შინაური ღვინო დავუჭაშნიკოთ, ფუძე და კერა დაგულოცოთ სახლის პატრონს, ვიბაასოთ, ვიმასლაათოთ და თუ თქვენც ჩემსავით მოგეწონებათ ჩვენი მასპინძელი და ზამთრის ერთ საღამოს მის შეყვარებასაც მოასწრებთ, რას მერჩინ, საყვედურს ნუ მეტყვით, არჩევანს ნუ დამიწუნებთ და ნურც იმ რამდენიმე წუთს დამამადლით, ამ სტრიქონების წაკითხვას რომ მოანდომებთ.

წეღან არ მითქვამს და ახლა გეტყვით: სახლი ჭიშკრიდან მოშორებით არის და თუ თავად ოჯახის უფროსი — სოსო ბერიძე გამოგებებათ, უთუოდ შეამჩნევთ, რაღაცნაირი მძლავრი, ღონიერი ნაბიჯებით მოდის, თითქოს მუხლამდე ტალახში მოიკვლევსო გზას. ცოტა კი შეფიქრიანდებით, მაგრამ ვერაფერს მიხვდებით, მხოლოდ გვიან გაიგებთ: თურმე უფეხო კაცი ყოფილა ეს ჩვენი მასპინძელი, ორივე ფეხი მუხლებს ქვემოთ აქვს გადაჭრილი. ომში დატოვა, მოსკოვის ახლოს, 1941 წლის ზამთარში, როცა 21 წლის ჯაბუკი იყო.

თქვენ ვერაფერს შეატყობთ და არც თავად სურს შეეტყოს, არ ამხელს, ხოლო თუ სხვები გეტყვიან და გიამბობენ მისი თანდასწრებით მის თავსგადამხდარს, ამაზეც წყრება.

არ იმჩნევს, არც ეტყობა, პირველად კი, ომიდან რომ დაბრუნდა, ძალიან ეტყობოდა. ეტყობოდა კი არა, ყავარჯნებითაც ძლივს დადიოდა, უცებ ვერ შეეჩვია პროთეზს.

— მაინც ხომ არ დამიწუნა ჩემმა დედაკაცმა, — იტყვის ხუმრობით და ისეთი მადლიერებითა და სიყვარულით გახედავს მეუღლეს ამ სიბერეში, თვალზე ცრემლი მოგადგება.

ომგადახდილს ომისა რომ არ ჰკითხო, ისე როგორ იქნება! მაგრამ ამჯერად ამაოდ გაირჯებით, ვერაფერს დაანცდინებთ, ომის გახსენებაც არა სურს.

— რა გინდათ, კაცო, რას გადამეკიდეთ, — შემოგწყრებათ ის, თუ ძალიან ჩაგიდებთ — რამდენი კაცი გყავს მოკლულიო, დაჭრილი როგორ გამოგიყვანესო ბრძოლის ველიდან, ეს ორდენები და მედლები რისთვის მოგცეს, რა

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ დანერგილია ახალი მუავაგამძლე, კოროზიამედეგი ფოლადის წარმოება. მისი მიღების ტექნოლოგია შემუშავებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში. კაპროლაქტამის საამქროში ახალი უფანგავი შენადნობის გამოყენებამ საშუალება მისცა წარმოების მუშაკებს გაეუმჯობესებინათ პროდუქციის ხარისხი და ოთხწლიანი საცდელი ვადის განმავლობაში ექვსი მილიონი მანეთი დაეზოგათ.

ახალი კოროზიამედეგი მასალების შექმნისას რუსთაველმა ქიმიკოსებმა დახმარებისათვის მეცნიერებს მიმართეს. მათ გადაწყვიტეს უფანგავი ფოლადის დამუშავება, რომელიც თავისი კოროზიული თვისებებით არ ჩამოუვარდება უნგად ლეგირებულ შენადნობებს და უფრო იაფი ჯდება.

ახალი ფოლადი გამოირჩევა მაღალი მექანიკური თვისებებით და საიმედო კოროზიამედეგობით. ამ მასალის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოწყობილობის ექსპლოატაციის ვადა, შეამცირა ნედლეულის ხარჯვა, გაამარტივა წარმოების ტექნოლოგიური სქემები, თანაც საჭირო აღარ არის ფაიფურის მილებისა და ქიმიური დაცვითი საშუალებების იმპორტი.

სურათზე: მეაპარატეები ვლადიმერ ცაბაძე და ლარისა ფერაძე თვალყურს ადევნებენ მეავასაზომის მუშაობის რეჟიმს.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნარკვევი

ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც სიზმრებში მუდამ ჯანსაღი და საღსალამათ წარმოუდგება თავისი თავი, ირემივით რომ შეუძლია დალახოს ხიდისთავის სერები და ბილიკები, უფეხო და პროთეზიანი სიზმარში ერთხელაც არ ყოფილა და ყოველთვის, როცა ასეთი სიზმრების შემდეგ გაეღვიძება და იქვე, საწოლთან ახლოს დაწყობილ პროთეზებს დაინახავს, გმინვა აღმოხდება ხოლმე.

ძნელი ყოფილა უფეხობა, ძალიან ძნელი, მაგრამ სიმართლე თუ გინდათ იცოდეთ, ახალგაზრდობაში უფრო უძნელდებოდა. დაჩაგრულად, არასრულფასოვან ადამიანად მიაჩნდა თავი. მერე, საბუღალტრო საქმე რომ შეისწავლა და კოლმეურნეობაში მოანგარიშედ დაიწყო მუშაობა, ცოტა გამხნევდა, მეც საჭირო და გამოსადეგი ვყოფილვარო ქვეყნისთვის, ხოლო როცა პროკოფი აბუსერიძის თავმომწონე ქალიშვილმა ცოლქმრობის პირობა და დასტური მისცა, მთლად გაუმეღლდა გული; მიხვდა, რომ ერთი კაცობა მასაც შეეძლო გაეწია ამ სოფელ-ქვეყანაში.

გასწია, და მერე როგორ! ლომის წილი, ლომის გასაწევი გასწია და გაიტანა ამ უფეხო კაცმა.

იშრომეს, ოჯაფეს ცოლმა და ქმარმა და ისეთი ოჯახი გააჩაღეს, უკეთესს ვერ ნახავთ მთელ იმ არემარეში, სწორედ ასეთ ოჯახზე იტყვიან, მტერსაც ღირსეულად დახვდება და მოყვარესაცო.

სამი შვილი დაზარდეს, სამივე ერთმანეთზე უკეთესები. ის-ის იყო სამშვიდობოს გაიყვანეს და გზაზე დააყენეს, რომ დიდი უბედურება დაატყდა თავს ოჯახს: უფროსი ვაჟიშვილი, ჰამლეტი, ავტოკატასტროფაში დაეღუპა. 26 წლის ვაჟკაცი ჩაუწვინეს მიწაში, ჟურნალისტი იყო, ადგილობრივ მრავალტირაჟიან გაზეთს რედაქტორობდა ხიდისთავში.

მეორე ვაჟიშვილი — ტარიელი უკვე მოსწრებული ჰყავთ. ადრე დაოჯახეს, ჯერ ოცდაათისაც არ არის, შვილები უკვე სკოლაში დაუდის, ქალ-ვაჟი ჰყავს, ბიჭი რვა წლისაა, გოგონა — შვიდისა.

ქალიშვილიც, მზია, დროზე ჩაბარეს პატრონს (დედის სიტყვებია), ბათუმშია გათხოვილი და შვილიც ჰყავს, ექვსი თვის ბიჭუნა.

ადრე დაოოჯახა და დაასახლკარა შვილებიო რომ გითხარით, ამას თავისი მიზეზი აქვს. ბავშვობიდანვე დაეწაფა შრომას, მათ სწავლა-განათლებას კი იმდენად არ გამოჰკიდებია, იმის თქმა მსურს, უმაღლეს სასწავლებელში. შეუყვანაზე თავი დიდად არ გამოუდიამეთქი. ამ საკითხზე სოსო ბერიძე, ცოტა არ იყოს, თავისებური შეხედულებისაა. კაცი იმ გზას უნდა დაადგეს, ის ხელობა და პროფესია აირჩიოს, რაც ემარჯვება და რისი ნიჭი და უნარიც მისცა ღმერთმაო. უმაღლესს რა ჯაჯა აქვს, მე არაფერი მწამს ფეხის ხმას აყოლილი იმ მშობლებისა და მათი ყეყეჩი შვილებისა, ხუთ-ექვს წელიწადს და მეტსაც მუშტით რომ ამტვრევენ უმაღლესის კარებს და ვერ შეუმტვრევიათო. თავი რომ მოსძულდებათ, ყველაფერზე გული რომ გაუტყდებათ და აუცრუვდებათ, მხოლოდ ამის შემდეგ მი

ეკონომიკა
ფაქტები მოვლენები
საკლესიო იუწყება

ბრძოლასა და შრომაში გამოწრთობილნი

10 დეკემბერს სრულდება ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის (მპლა) დაარსების 27 და მპლა-შრომის პარტიის 6 წლისთავი.

ბრძელი და ძნელი გზა განვლო ანგოლელმა ხალხმა, სანამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოიპოვებდა. სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელობით 14 წელს გრძელდებოდა პორტუგალიელი კოლონიზატორებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ ბრძოლა ანგოლის განთავისუფლებისათვის. ბევრმა პატრიოტმა დასდო თავი სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის, რომლის დამოუკიდებლობაც 1975 წელს გამოცხადდა.

მას შემდეგ განვლილი რვა წლის მანძილზე ანგოლამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის აღდგენა-განვითარებაში. წლითიწლობით იზრდება ალმასის, რკინის, სპილენძის, ნავთობის მოპოვება, წარმატებით ვითარდება დამმუშავებელი მრეწველობა. ანგოლას დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. დიდი მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში, განსაკუთრებით ყავის, ბამბის, შაქრის ლერწმის, ბრინჯის მოსავლიანობის ზრდაში. ამას კი ორსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის, სადაც მოსახლეობის თითქმის 80 პროცენტი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშია დასაქმებული. კარგი შედეგები მოჰყვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნას, რომლებშიც გაერთიანებული გლეხები რწმუნდებიან კოლექტიური შრომის უპირატესობაში.

განსაკუთრებით დიდი ძვრებია უწიგნურობის აღმოფხვრის საქმეში. რვა წელიწადში წერა-კითხვა ისწავლა თითქმის მილიონმა ანგოლელმა მოქალაქემ, რისთვისაც ანგოლას მიენიჭა იუნესკოს ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის პრემია. ქვეყანაში ახალი ძალით აღორძინდა ეროვნული ხელოვნება და კულტურა. შეიქმნა მწერალთა კავშირი, ეროვნული კინოს ინსტიტუტი, მხატვართა კავშირი.

„მპლა-შრომის პარტია“ ყველა ბირობას ქმნის პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, — განაცხადა საკდესის კორეს-პონდენტთან საუბარში, მწერალთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ცნობილმა ანგოლელმა პროზაიკოსმა და პოეტმა ანტონიო კარდოზომ. — ახლა ჩვენი მოვალეობაა ხოტბა შევასხათ გმირ მეომრებს, რომლებმაც ხიშობლო გაათავისუფლეს კოლონიზატორებისა და იმპერიალისტებისაგან, ავსახოთ რევოლუციური მონაპოვრების დამცველი მებრძოლების, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრება, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ისეთი ახალი საზოგადოების მშენებლობაში, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია“.

ყოველივე ეს მიღწეულია მპლა-შრომის პარტიად გარდაქმნილი ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელობით. და ეს წარმატებები კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, ანგოლელ ხალხს ხელ რომ არ უშლიდნენ იმპერიალისტები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები და მათი მარიონეტები — ანტიანგოლური ტერორისტული დაჯგუფების უნიტას წევრები. ანგოლის წინააღმდეგ ფაქტობრივად გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობს, რომლის მიზანია შეარყიოს ვითარება ქვეყანაში, გადაან

აკადემიკოს არჩილ ცაგარლის დაბადების 70 წლისთავის გამო

გეოლოგია – ცხოვრების მიზანი

არჩილ ცაგარელი ქართული გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. დღეს მისი მეცნიერული მიღწევები საყოველთაოდ არის აღიარებული საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც.

ასზე მეტი გამოქვეყნებული შრომის ავტორია ა. ცაგარელი, რომელთა შორის 7 მონოგრაფიაა. მეცნიერული შუშაობის დასაწყისში, ჯერ კიდევ ასპირანტურის წლებში, მან კვლევის ობიექტად აირჩია საქართველოს ზედა ცარცის ფაუნა და სტრატიგრაფია. პირველ რიგში, მას მოუხდა ზედაცარცული ინოცერამების დიდი კოლექციის დამუშავება. ამ სტრატიგრაფიისათვის მეტად მნიშვნელოვან ჯგუფს მიეძღვნა. მისი საკანდიდატო დისერტაციაც (1940 წ.), რომელიც მან შემდეგ შეავსო და გამოაქვეყნა. ეს ნაშრომი დღესაც ინოცერამებისადმი მიძღვნილი ყველაზე დიდი და სრული მონოგრაფიაა.

მომდევნო პერიოდში ა. ცაგარელმა განაგრძო ზედაცარცული ნალექების კვლევა. მან მონოგრაფიულად შეისწავლა სხვადასხვა გეოლოგიური დაფესებულების თანამშრომელთა მიერ შეგროვილი მდიდარი პალეონტოლოგიური მასალა, რომელიც ძირითადად ზღვის ზღარბებსა და ამონოიდებს შეეხებოდა. ამან საშუალება მისცა მკვლევარს საქართველოს ზედა ცარცის სტრატიგრაფია დაემუშავებინა ყველა ნამარხი ჯგუფის გამოყენებით.

ამავე დროს იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ფაციესებისა და პალეოგეოგრაფიის შესწავლასაც. ამგვარი კომპლექსური კვლევა კი საქართველოსათვის ახალი იყო. შედეგი ფრიად საგულისხმო აღმოჩნდა. ა. ცაგარლის დასკვნებმა საესებით დაადასტურა ა. ჯანელიძისა და სხვა ქართველ გეოლოგთა შეხედულებანი საქართველოს გეოტექტონიკური აგებულების შესახებ; კერძოდ, მკაფიოდ გამოაჩინა საქართველოს ბელტი, როგორც ორნაოჭა ზოლს (კავკასიონი და აჭარა-თრიალეთი) შორის მოქცეული მცირე სისქეების არე. ეს ფრიად საყურადღებო დასკვნა იყო, ვინაიდან იმ დროს კავკასიის ბევრი მკვლევარი არ ცნობდა საქართველოს ბელტის არსებობას. ამ გამოკვლევაში ა. ცაგარელმა პირველად გამოიყენა ა. ჯანელიძის მიერ მოწოდებული მეთოდი, ფაციესებისა და სისქეების დეტალურ კვლევაზე დამყარებული ოროგაზისტთა შესწავლის მეთოდი და გამოავლინა საქართველოს ბელტის ფარგლებში ავსტრიული ფაზისის ორო-და სინოროგენეტული მოძრაობების როლი.

მომდევნო წლებში ა. ცაგარელმა განაგრძო ზედაცარცული ნალექების კვლევა. მან მონოგრაფიულად შეისწავლა სხვადასხვა გეოლოგიური დაფესებულებმაც საბოლოოდ დაუმკვიდრა მას ზედაცარცულის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის რეპუტაცია. მუშაობის ამ ეტაპზე მიღებული დასკვნები ა. ცაგარელმა შეაჯამა საქართველოს ზედა ცარცისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ გამოკვლევაში, რომელიც მან სადოქტორო დისერტაციად წარადგინა და წარმატებით დაიცვა კიდეც. 1954 წელს ეს კაპიტალური ნაშრომი მონოგრაფიად გამოაქვეყნა. ამ წიგნმა მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა ფართო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ა. ცაგარლის პალეოგეოგრაფიულმა და ნალექთა სისქეების რუკებმა ფართო გამოყენება ჰპოვა პრაქტიკული საკითხების დამუშავების საქმეში (ბეზოზოური ნავთობისა და იურული ნახშირების დახურული საბადოების ძებნა დასავლეთ საქართველოში, ღრმა ბურღვის რაიონალურად წარმართვა და სხვა). ამგვარმავმა გეოლოგებმა დაიწყეს გეოლოგიურ რუკებზე ზედაცარცული ნალექების წვრილ ერთეულებად დანაწილება.

კვლევის სტრატიგრაფიულ-პალეონტოლოგიურ და პალეოგეოგრაფიულ მიმართულებებთან ერთად ა. ცაგარლის შუშაობაში დაისახა კიდევ ერთი მიმართულება — პალეობიოგეოგრაფიული, რომლის მიზანი იყო კავკასიის ნამარხ ფაუნათა ანალიზის საფუძველზე პალეოგეოგრაფიული კავშირის დადგენა მეზობელ აუზებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი საქართველოში. გეოლოგიური კვლევის ეს მიმართულება შემდგომ საპროგრამო გახდა ქართველი სტრატიგრაფებისათვის.

1951 წლიდან ა. ცაგარლის შუშაობაში ახალი ეტაპი იწყება, მისი მეცნიერული ინტერესები ფართოვდება. იგი შუშობას იწყებს ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში. აქ მის ყურადღებას იქცევს გეომორფოლოგიის საკითხები. მან გამოთქვა სრულიად ახალი და ორიგინალური მოსაზრება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეგრეთ წოდებული „მთავარი დეხუდაციური ზედაპირის“ გენეზისის შესახებ, რომელიც, ადრინდელი მკვლევარებისაგან განსხვავებით, საკუთარ პენეპლენად კი არა, კუესტურ ზედაპირად მიიჩნია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ა. ცაგარლის წვლილი 1964 წელს გამოცემული დიდი განმაზოგადებელი ნაშრომის „საქართველოს გეოლოგიის“ მომზადებაში. იგი ამ წიგნის ერთი რედაქტორთაგანი და 5 თავის ავტორია, მათ შორის მეოთხეული სისტემისადმი მიძღვნილი თავისა. ეს უკანასკნელი კი იმით არის საყურადღებო, რომ მასში პირველად დაისვა და საფუძვლიანად გაშუქდა საქართველოს (და მთლიანად კავკასიის) მეოთხეული გეოლოგიის კარდინალური საკითხები. ა. ცაგარელმა პირველმა მიაქცია ყურადღება საქართველოს ნეოტექტონიკას და მის კავშირს თანამედროვე რელიეფის შექმნასთან. ნეოტექტონიკის კვლევამ ა. ცაგარელს საშუალება მისცა აგრეთვე გაერკვია კავკასიონზე ალპური ასაკის მეტამორფიზმის წარმოშობის გეოლოგიური პირობები. ნეოტექტონიკურ საკითხებზე ა. ცაგარლის შუშაობას კომპლექსური ხასიათი აქვს და ამ მხრივ მისი კვლევა შეთოდოლოგიურად ძლიერ საინტერესოა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ა. ცაგარელს შედგენილი აქვს საქართველოს 1:200 000-იანი მასშტაბის ნეოტექტონიკური რუკები ვრცელი განმარტებითი ბარათით.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ა. ცაგარლის შუშაობაში იურული სისტემის სტრატიგრაფიის საკითხებსაც, რომლებსაც მან მიუძღვნა ლუქსემბურგის პირველ და მეორე კოლოკვიუმზე და ბუდაპეშტში წაკითხული მოხსენებანი.

ა. ცაგარლის მეცნიერული შუშაობა არასოდეს ყოფილა პრაქტიკისაგან გამოჯნული. იგი შუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ახლაც განაგრძობს თანამშრომლობას საქართველოს გეოლოგიის სამმართველოსთან. მისი რედაქციით დაიბეჭდა კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა მასშტაბის გეოლოგიური და ტექტონიკური რუკები. მან ახალი მასალის საფუძველზე გადაამუშავა თბილისის 1:200 000-იანი მასშტაბის ფურცელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტექტონიკური რუკა, რომელიც გამოირჩევა თავისი სისრულით.

დიდ ყურადღებას უთმობს ა. ცაგარელი ახალგაზრდა სპეციალისტების — გეოლოგებისა და გეოგრაფების მომზადებას. იგი ერთხანს ლექციებს კითხულობდა სოხუმისა და გორის პედაგოგიურ და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში. დღეს სულალული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრას განაგებს, კითხულობს ლექციებს ძირითადად გეოლოგიის დისციპლინებში. აქვე უნდა აღინიშნოს ა. ცაგარლის დიდ მეცნიერულ-ორგანიზატორული და საზოგადოებრივი საქმიანობა.

იგი არის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ა. ცაგარელი არის მთელი რიგი საკავშირო და რესპუბლიკური კომისიებისა და სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის, გეოლოგიის მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის იურული სტრატიგრაფიის ქვეკომიტეტის წევრი, ლონდონის გეოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი.

ფართოა ა. ცაგარლის ინტერესების სფერო: მას ფრანგულიდან უთარგმნია ბალზაკისა და მერიმეს ნაწარმოებები, გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული სპორტის განვითარებაში (თავის დროზე საკმაოდ ცნობილი მოკრივე გახლდათ) და სხვა.

ა. ცაგარლის ნაყოფიერი შუშაობა ღირსეულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ღვაწლმოსილი მეცნიერი თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მხნედ და ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ხვდება, რაც, უთუოდ, იმის საწინდარია, რომ იგი მომავალში კვლავ გაამდიდრებს ჩვენს მეცნიერებას თვალსაჩინო გამოკვლევებით.

ლ. გაბუნია,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს გეოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი;

ნ. სხირტლაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის გამგე.



სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი **ანდრია ბალანჩივაძე.**
ა. კოტორაშვილის ფოტო.

პრობლემა

საუკუნეების მანძილზე თავისი ნიჭის, გონებისა და შრომის შედეგად ქართველმა ხალხმა შექმნა და უმაღლეს დონეზე აიყვანა საჭმლის მომზადების ტექნოლოგია, სადაც ორგანულად არის შერწყმული ნედლეული რესურსების რაციონალური გამოყენების, გემოვნების, დიეტოლოგიის, კვების ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ესთეტიკისა და ეთიკის, სუფრის ეტიკეტის, თავაზიანობისა და კეთილი მასპინძლობის ხელოვნება. სწორედ ამ ატრიბუტების წყალობით მსოფლიოში განთქმული და აღიარებულია ქართული კულინარია და სტუმარმასპინძლობა.

შემთხვევითი არ იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წიგნის ბაზარზე გემოვნებით გაფორმებულ წიგნს სათაურად „მსოფლიოში საუკეთესო კერძები“ ჰქონდა, რომელიც სომეხ ქალს დაუწერია და მასში აღწერილია ქართული და სომხური კერძები. განა ჩვენი ხალხის ტექნოლოგიურ ნიჭზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნის ტელევიზიის ეკრანზე კომერციული მიზნებით რეგულარულად აქვებენ ჩვენს მაწონს და სწორედ მას მიიჩნევენ ქართული დღეგრძელობის ელექსირად?! ბევრისმთქმელია ის ფაქტიც, რომ ამას წინათ იაპონიამ შეისყიდა ქართული მაწვნის წარმოების ლიცენზია.

ქართული ეროვნული კერძების მოამზადების ტექნოლოგია ქართველი ხალხის, ძირითადად ალბათ ქართველი ქალის დიდებული ნიჭიერების, შემოქმედებითი ფანტაზიის, დაუღალავი შრომის, მრავალფეროვანი ცოდნის და მდიდარი გამოცდილების შესანიშნავი ნაყოფია.

სამწუხაროა, რომ თანდათან მიდის ჩვენგან უფროსი თაობა და თან მიაქვს ხალხური ცოდნის მრავალი საიდუმლოებანი. ჩვენი ვალია, არათუ დავიგიწყოთ და დავკარგოთ, არამედ დავიცვათ და აღვადგინოთ ჩვენი მდიდარი მემკვიდრეობა, ახალი სიცოცხლე შთავბეროთ და გამოვიყენოთ იგი.

განა ვინმე დაიწუნებს, ბაგალითად, სვანურ „კუბდარს“ და „ქართოფლარს“, მოხეკურ „მხლოვანს“, კარტოფილის და ნიგვის ხინკალს, მესხურ „ერიშტას“, „თუმბაჯს“ და „თათარბეგას“, ქართულურ „ხალიფაფას“ და „ნაზუქს“, ოსურ „ოლიბახს“ და „ცახარჯენს“, კახურ „პურის ხარშოს“ და „ბოლოლოწოს“, რაჭულ „დაზეულს“ და „კვახიწელას“ და კიდევ მრავალ და მრავალ ძველ ქართულ კერძს თუ პროდუქტს?!

წინადადებას ვაყენებთ, რომ ღია ცის ქვეშ მდებარე საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში უცხოელი და საბჭოთა ტურისტებისათვის ძველი თბილისის აღორძინებულ ბუნებაში მოვაწყოთ საქართველოს ცალკეული რეგიონებისათვის დამახასიათებელი სამზარეულო — აჭარული თუ აფხაზური, რაჭული თუ კახური, ოსური თუ მეგრული და ა. შ. ეს მეტ გამომსახველობას მიანიჭებს ჩვენს დედაქალაქს, გაამდიდრებს მის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, როცა ჩვენი ქალაქის სტუმარს საშუალება ექნება თბილისიდან გასვლელად მოაწყოს საინტერესო ექსკურსია თითქოსდა შემოიაროს მთელი საქართველო, დატკბეს მისი მთა-ბარის სილამაზით, მშვენიერი ხედებით, ფერადი სლაიდების სახით რომ იქნება წარმოჩენილი, მოისმინოს გურული, მეგრული, კახური და სვანური მელოდიები.

ამ საკითხს აქვს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი. სასურსათო პროგრამის პირველ პლანზე წამოწევამ დღის წესრიგში მთელი სერიოზულობით დააყენა ადგილობრივი ნედლეულის, მათ შორის მცენარეული რესურსების ეფექტური გამოყენების საკითხი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სურსათის წარმოების ხალხური ტექნოლოგია ადგილობრივი საკვები ნედლეულის ეკონომიკური და რაციონალური მოხმარებას ემყარება. თავისი შინაარსით იგი უბრალო და მარტივია, სწრაფად შეიძლება მომზადდეს ესა თუ ის კერძი. მის სპეციფიკაში ისიც შედის, რომ იგი ცხოველური და მცენარეული პროდუქტების შეხამების უნიკალური ფენომენია. ეს საშუალებას გვაძლევს, ჯერ ერთი, ეკონომიურად ვხარჯოთ ხორცისა და რძის პროდუქტები, ხოლო, მეორე მხრივ, სრულად გამოვიყენოთ საქართველოს ორგანიზაციით ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნებს.

სავალალო ის არის, რომ ასეთი ქრონიკული ჩამორჩენა უკვე დიდი ხანია გრძელდება და ბოლო არ უჩანს. ამავე დროს, მთელი ცივილიზებული სამყაროს სურსათის წარმოების და მოხმარების სფეროში ამჟამად განიცდის ეგრეთ წოდებულ „მეორე რევოლუციას“. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი „პირველი რევოლუციის“ ეპოქაში, როდესაც მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო მოსახლეობის მიგრაცია სოფლებიდან ქალაქებში, იშვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების ახალი ფორმები (დაკონსერვება, პასტერიზაცია, გაყინვა), „მეორე რევოლუციას“ ახასიათებს სურსათის წარმოებისა და მოხმარების საზოგადოებრივი ფორმის მასშტაბთა უდიდესი ზრდა. პროგნოზების მიხედვით, მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში სამი წლის შემდეგ მთელი სურსათის 70 პროცენტს საზოგადოებრივი კვების ქსელის საშუალებით მოიხმარებენ.

ამ ტენდენციის გათვალისწინებით ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივი კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის და ორგანიზაციის ძველი ფორმები და მეთოდები ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნებს. აქიტომაც მიგვაჩნია, რომ ჩვენი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან სფეროში მთავარი პრობლემა საზოგადოებრივი კვების პროდუქტების ცენტრალიზებული წარმოება და ნახევარფაბრიკატებით და

რატომ არ ვუფრთხილდებით, რატომ არ ვიუყვებით კვების პროდუქტების მომზადების ხალხურ ტექნოლოგიას

ქმნის ორგანიზაციით ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნებს.

ეს ეს ეს

ეროვნული ტექნოლოგიის ფუძემდებლურ ელემენტებად ითვლებიან ეროვნული ენა, ეროვნული ფსიქიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ტექნიკა, ეროვნული ტექნოლოგია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ფსიქიკა, ეროვნული ენა.

ეროვნული, ნუ დავკარგავთ...

ლოს გულუხვი ბუნების ნობათი — ველური თუ კულტურული მცენარეები, რომლებიც ერთობ მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით — ვიტამინებით, ცილებით, ფერმენტებით, ორგანული მჟავებით, მიკროელემენტებით და ა. შ. დღის წესრიგში დგას საზოგადოების, ადამიანის საკეთილდღეოდ, სამრეწველო საფუძველზე გამოვიყენოთ ჩვენი მიწისა და მზის ნაყოფი — ბუნებრივი მცენარეული ნედლეული, რომელიც ყოველ გაზაფხულს მწვანე ხალიჩასავით გულუხვად ეფინება ჩვენს მთასა და ბარს.

ამ ასპექტით ერთობ მისასალმებელია საქართველოს ხელბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. თ. ჯაბადარი) პოზიცია, რომელიც პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს რესპუბლიკის მცენარეული რესურსების ეფექტურად გამოყენებისათვის.

ხალხური ტექნოლოგიის სპეციფიკურობა, თუ გნებავთ, საოცრებაც ის გახლავთ, რომ ერთობ უბრალო, ხელმისაწვდომი პროდუქტების მინიმალური ასორტიმენტითაც კი, სპეციალურ კულინარიულ თუ სხვა ტექნოლოგიურ საიდუმლოებათა გამოყენებით გემრიელი კერძი მზადდება, რომელიც ერთნაირად მისაღები და ზოგჯერ ერთ-ერთ ... ...